

გაკვეთილი 8

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

საკრედიტო პროდუქტები

ნაწილი 2

## დაკრედიტება

საწყისი ბიზნესის ფინანსირება (Start UP) ბანკის მხრიდან განიხილება არაპრიორიტეტულ და მაღალრისკიან მიმართულებად. ასეთი პროექტები განიხილება როგორც გამონაკლისი, მხოლოდ მაღალი რისკის უზრუნველყოფის, მსესხებლის 50%-იანი და მეტი თანამონაწილეობისა და მაღალი სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-გეგმის არსებობის შემთხვევაში. ასევე ალტერნატიული შემოსავლების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ბანკის მიერ არსებული შემოსავლების გათვალისწინებით საწყისი ბიზნესის დაფინანსება. რატომ არ აკრედიტებენ ბანკები სტარტაპებს? იმიტომ, რომ ფულის ჩადება ჯერ კიდევ არარსებულ ბიზნესში არის არა დაკრედიტება, არამედ ინვესტიცია, რაც გაცილებით უფრო მეტი რისკის შემცველია და მოითხოვს საქმიანობის სხვა ტექნოლოგიებს.

ბანკში სესხის აღების დროს პოტენციურ მსესხებელს მოეთხოვება საბუღალტრო მონაცემები. ბანკი მოითხოვს მისთვის საკმარის ფინანსურ-საბუღალტრო ბანკი მოითხოვს მისთვის საკმარის ფინანსურ-საბუღალტრო ინფორმაციას კლიენტის საქმიანობის შესახებ. ბანკი იტოვებს უფლებას დააყოვნოს გადაწყვეტილების მიღება მანამდე, სანამ შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია არ იქნება მოპოვებული.

ეს მინიმალური მოთხოვნებია:

- საგადასახოდან შედარების აქტი და ცნობა საბანკო ანგარიშების შესახებ
- მომსახურე ბანკიდან ამონაწერი მიმდინარე ანგარიშიდან (გახსნის დღიდან)
- ამონაწერი სასესხო ანგარიშიდან, სასესხო ხელშეკრულებები (სესხით სარგებლობის შემთხვევაში)
- მომსახურე ბანკიდან ცნობა დაგალიანებაზე (ფორმის დამფუძნებლების ჩათვლით)
- 1 წლის შემოსავლები
- დამატებითი შემოსავლები
- ყოველთვიური ხარჯები (თვეების მიხედვით გაშიფრული)
- ბალანსი
- მოგება ზარალი (ბოლო 1 წლის მონაცემებით)
- ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი (ბოლო 1 წლის)
- დებიტორ-კრედიტორების გაშიფრვა, ვადები
- ბიზნეს აქტივების აღწერა
- მოგების დეკლარაცია
- ხელშეკრულებები მომწოდებელთან და მომხმარებელთან(ფაქტურები ლიცენზიები).
- სესხის მიზნობრიობა (თანხა, ვადა)ინვოისი
- უზრუნველყოფის ჩამონათვალი.

საშუალო და გრძელვადიანი კრედიტები აუცილებლად უნდა მოიცავდეს გარკვეულ დამატებით პირობებს, რომელთა დაკმაყოფილება მსესხებლის მხრიდან სავალდებულოა

დამატებითი პირობები განიმარტება როგორც საკრედიტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული პარამეტრები, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს აკონტროლოს და, თუ აუცილებელია, უკან მოითხოვოს კრედიტი და/ან ახალ პირობებზე მოილაპარაკოს იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დეფოლტს განიცდის რომელიმე განსაზღვრულ პარამეტრში.

კრედიტის დამატებითი პირობების შესრულების კონტროლი, მათზე ინტენსიური მონიტორინგი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საკრედიტო რისკების მართვისთვის.

სესხის მონიტორინგი ნორციელდება ყოველთვიურად, ყოველ 3 თვეში ან ყოველ 6 თვეში ერთჯერ. გასათვალისწინებელია, რომ საკრედიტო სელშეკრულებაზე სელისმოწერის შემთხვევაში მსესხებელი დებულებს ვალდებულებას, სელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებაზე. ასე, რომ სელშეკრულებაზე სელის მოწერამდე მასში გათვალისწინებული ყველა პირობის გაცნობა აუცილებელია შემდეგში შესაძლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

ქვემოთ მოცემულია ის დამატებითი პირობები, რაც შეიძლება ბანკის მიერ იქნეს მოთხოვნილი სესხის აღების შემთხვევაში:

- მინიმალური მოცულობის თანხების ბრუნვა საბანკო ანგარიშებზე (თვე, კვარტალი, წელი);
- -დივიდენდების არ გაცემა კრედიტის მომსახურების პერიოდში;
- -სასაწყობო ნაშთის მინიმალური ლიმიტის დადგენა;
- -დამატებითი საკრედიტო ვალდებულებების აღების შეზღუდვა;
- -აქტივების გასხვისების შეზღუდვა;
- -ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური ნორმატივი;
- -სესხის მომსახურების კოეფიციენტის დაცვა;
- -მენეჯმენტში ცვლილების შეზღუდვა;
- -პროექტის, ქონების, სიცოცხლის და სხვა ტიპის დაზღვევა;

### კრედიტის უზრუნველყოფა

ბანკში სესხის აღებისას ბანკის მიერ აუცილებლად იქნება სესხის უზრუნველყოფა. ეს უზრუნველყოფა შეიძლება იყოს:

- იპოთეკა - იპოთეკის საგანს წარმოადგენს მიწა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი (საცხოვრებელი ბინები, სახლები, ადმინისტრაციული და საწარმო შენობა-ნაგებობანი).
- გირავნობა - გირავნობის საგანს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნივთები, ძირითადი ფონდები (საწარმოო დაზგა-დანადგარები), საბრუნავი საშუალებები (ნედლეული, მასალები, მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება), სატრანსპორტო საშუალებები, ანაბარი, ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები, თამასუქები...) და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები.
- თავდებობა - ფინანსური თავდებობა მესამე პირის მხრივ. თავდები უნდა ფლობდეს სათანადო ფინანსურ აქტივებს და მათ სტაბილურ წყაროს.
- გარანტია - საბანკო გარანტია. ბანკი უმეტესწილად იღებს მხოლოდ საქართველოში მოქმედი რეიტინგებით უმაღლესი კატეგორიის (ასეთი ბანკების ნუსხას ამტკიცებს კონკრეტული ბანკის საკრედიტო კომიტეტი) და უცხოეთის პირველი კლასის ბანკების (ან მათ მიერ დადასტურებულ) საგარანტიო ვალდებულებებს.

ნებისმიერ ქონებას ეს იქნება უძრავი თუ მოძრავი- გააჩნია 2 ღირებულება: საბაზრო ღირებულება და სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება. სესხის თანხს განსზღვრისას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწრაფ სალიკვიდაციო ღირებულებას, რომელიც მინიმუმ სესხის თანხს ტოლი

უნდა იყოს. ხშირად ბანკები ითხოვენ, რომ ქონების სალიკვიდაციო ღირებულება 20-30 %-ით მეტი იყოს სესხის თანაზე. ქვემოთ მოცემულია კრედიტის უზრუნველყოფაში შეთავაზებული ქონების

უზრუნველყოფის სახე	დისკონტის განაკვეთი	შეფასება საბაზრო ფასთან მიმართებაში
ნაღდი ფული, საბანკო და სახელმწიფო გარანტიები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	0%	100%
უძრავი ქონება (დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში)	30%	მაქსიმუმ 70%- მაღაზიები, საოფისე ფართები, ბინები, სახლები, სასაწყობო ფართები, სამრეწველო დანიშნულების უძრავი ქონება.
მიწა (არასასოფლო - სამეურნეო)	40%	მაქსიმუმ 60% - არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების
მიწა (სასოფლო - სამეურნეო)	50%	მაქსიმუმ 50% - სასოფლო სამეურნეო დანიშნულების
ავტო ტრანსპორტი	30%	70% - 10 წლამდე ასაკის ტრანსპორტისთვის
მოწყობილობა	50%	არაუმეტეს შესყიდვის ფასის 50%
მარაგები	70%	არაუმეტეს შესყიდვის ფასის 30%

შეფასებას ბანკის მიერ.

### განმარტებები

- ნაღდი ფული, საბანკო და სახელმწიფო გარანტიები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება და სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება ტოლია.
- უძრავი ქონების (დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში) სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს საბაზრო ღირებულების 70 %-ს. ანუ 100,000 –იანი ქონების სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულებაა 70,000.

3. მიწა (არასასოფლო - სამეურნეო) სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს საბაზრო ღირებულების 60 %-ს. ანუ 100,000 –იანი ქონების სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულებაა 60,000.
4. მიწა (სასოფლო - სამეურნეო) სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს საბაზრო ღირებულების 50 %-ს. ანუ 100,000 –იანი ქონების სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულებაა 50,000.
5. ავტო ტრანსპორტის სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს საბაზრო ღირებულების 70 %-ს, თუ მისი ასაკი 10 წელზე ნაკლებია. ანუ 100,000 –იანი ავტომობილის სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულებაა 70,000.
6. მოწყობილობის სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს შესყიდვის ფასის 50 %-ს. ანუ თუ მოწყობილობის შესასყიდი ფასია 100,000 –მისი სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულებაა 50,000.
7. სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს შესყიდვის ფასის 30 %-ს. ანუ თუ საქონლის თვითღირებულებაა 100,000 –მისი სწრაფი სალიკვიდაციო ღირებულებაა 70,000.

გარდა კრედიტისა ბანკები პოყენციურ კლიენტებს სთავაზობენ სხვა საკრედიტო პროდუქტებსაც. ეს პროდუქტებია:

### საკრედიტო ბარათი

საკრედიტო ბარათი არის ორი საბანკო პროდუქტის - პლასტიკური ბარათისა და სამომხმარებლო სესხის სინთეზი. ეს არის პლასტიკური ბარათი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საბანკო კრედიტით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება სავაჭრო ობიექტში, ინტერნეტით, და/ან გაანაღდოს კრედიტის თანხა. ბარათს აქვს საკრედიტო ლიმიტი, ანუ კრედიტის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიისა და მისი შემოსავლების გათვალისწინებით. შესაძლოა საკრედიტო ლიმიტის გაზრდაც. მომხმარებელს შეუძლია აითვისოს თანხა მისთვის სასურველ დროს და ნებისმიერი პერიოდულობით საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში. შესაბამისად, საკრედიტო ბარათს არ აქვს დაფარვის სტანდარტული გრაფიკი.

უმეტეს საკრედიტო ბარათზე მოქმედებს ე.წ. საშელავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში ათვისებულ თანხას არ ერიცხება პროცენტი. თუ მომხმარებელმა სრულად ვერ დაფარა ათვისებული თანხა საშელავათო პერიოდის განმავლობაში, ის ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდების ბოლოს დაფაროს ათვისებული თანხის გარკვეული წილი და დარიცხული პროცენტი.

გასათვალისწინებელია, რომ ბარათის განაღდების საკომისიო, ხშირ შემთხვევაში, აღემატება სავაჭრო ობიექტებში ბარათით განხორციელებული ოპერაციის საკომისიოს. სავაჭრო ობიექტებში საკრედიტო ბარათებით ანგარიშსწორება უფასოა

### განვადება

განვადება ეს არის სამომხმარებლო ტიპის კრედიტი, რომელსაც მომხმარებელი იღებს ბანკიდან მაღაზიაში/სავაჭრო ობიექტში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად. ჩვეულებრივი სამომხმარებლო სესხისაგან განსხვავებით განვადებას აქვს კონკრეტული მიზნობრიობა. განვადებით შეგიძლიათ დააფინანსოთ საოჯახო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ელექტრო ტექნიკის, ავტომობილის და სხვა სამომხმარებლო მიზნებისთვის განკუთვნილი პროდუქციის შეძენა.

როგორ წესი განვადების გაფორმება შესაძლებელია მომენტალურად, უშუალოდ მაღაზიაში/სავაჭრო ობიექტში. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განვადებით შეძენილი საქონლის/მომსახურების ფასი აღემატება კლიენტის სახსრებით შეძენილი საქონლის/მომსახურების ფასს.

მაგალითად: თუ განვადებით ყიდულობთ საყოფაცხოვრებო ტექნიკას, რომელიც ღირს 550 ლარი და თქვენი სახსრებით შეძენის შემთხვევაში მაღაზია გაგიკეთებდათ 30 ლარიან ფასდაკლებას, აღნიშნული დადებითი სხვაობა მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯს.